საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№17 (6392) 9 თებერვალი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ვის უფრო გვიყვარს, მამული ძმანო

უკიდურესად დაძაბული დღეები გვიდგას, ვერა და ვერ ამოისუნთქა ქართველმა თავისუფლად. განსაცდელს განსაცდელი ენაცვლება. დღეები მიდის და ბევრი არაფერი საიმედო ისმის სამაჩაბლოდან, იქ დაღვრილი სისხლი, გზაზე დამდგარი ლტოლვილები, ბავშვებისა თუ ქალების ცრემლიანი თვალები ნოსვენების უფლებას არ გვაძლევს, მეტისმეტად გვაშფოთებს და გვაფორიაქებს და ჩაგვძახის—„მას დედის ძუძუ ტკბილი, შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“. სამშობლო არის ჩვენი საოცარი ხატი, ამ სიყვარულმა უნდა გადაგვარჩინოს.

ყველაზე მეტად ახლა გვჭირდება ერთიანობა, ერთიანი თანადგომა. განა მტრის ხელით დაღვრილი სისხლი არა ყმარა, რომ ქართველმა თავისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არ გაინეტოს სასიკვდილოდ? და დეფის წინ სიკვდილის საფეხელზე გაშხლართული ვაჟკაცების ხილვით ცოდვის კითხვის დღეები არ დავიყენოთ? ვის სცალია ახლა ამისათვის. საკითხავია, მკვლელს სამშობლოზე ფიქრი ოდნავ მაინც აწუხებს? ან საერთოდ ნორმალურად აზროვნებს? დაფიქრებულა კი ოდესმე, რომ საქართველოს არ ჰყავს დასაკარგავი შვილი. მაშ რა ხდება, რა გული გვამეტებინებს ერთმანეთს სასიკვდილოდ? დღეს ქართველს განა სიკვდილისთვის სცალია? განა ის დღე არ დგავდგა, რომ სამშობლოს გვეცილებიან და ერთმანეთს კი არ ჩამოვერიოთ, გავერთიანდეთ და მტერს ისეთი დღე ვაყაროთ, რომ მკვდარსაც კი გაეცინოს. ჩვენი ერთიანობით ვაჯობოთ, უკან დავახევინოთ, სანტროდ აღმართული მახვილი ძირს დავახრევინოთ.

აგრომრეწვანში გახსნილია ანგარიში თავდაცვის ფონდისათვის, საჭიროა გაიხსნას ანგარიში სამაჩაბლოს ლტოლვილებისათვის, რომელიც თითოეული ჩვენგანის ნიერ შეძლებისდაგვარად გაღებული თანხით შეივსება. მიიღება ასევე ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა. დროა თითოეულმა ჩვენთაგანმა საქმით, კონკრეტული საქმით გამოხატოს თავისი დამოკიდებულება გასაჭირში ჩავარდნილი მამულის გადასარჩენად. გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია პერიოდულად აუწყებს საზოგადოებას იმ ორგანიზაციების, ოჯახებისა თუ მოქალაქეების ქველმოქმედებაზე, ვისაც გული მამულისათვის ერჩის და ამ გამოცდის ჟამს, საქართველოს ამ უმძიმეს დღეებში, ნამულის დასახმარებლად აქვს ხელი გაწვდილი.

შედეგები კარგია — პერსპექტივა — უკეთესი

უკვე მეორე წელია, რაც მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმო თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების წესით მუშაობს, რასაც წინ უძღოდა დიდი და სერიოზული სამუშაოები—მინიმუმამდე შემცირდა სამმართველო აპარატის საშტატო ერთეული, კრედიტორ-დებიტორული დავალიანება, უმკაცრესი კონტროლი გატარდა სასაქონლო მატერიალური და ფულადი რესურსების ხარჯვაზე. ქრონომეტრაჟისა და მეცნიერულ საფუძველზე დაწესდა ახალი ტარიფები, გამომუშავების ნორმები და გადასახდელი ფასები, მკაცრი კონტროლი დაწესდა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ყოველივე ამან მეტად სასურველი შედეგი გამოიღო. გასული, 1990 წლის შედეგები მართლაც ხელშესახები და საგულისხმოა, კერძოდ, წარმოების, მომსახურებისა და რეალიზაციის საგეგმო დავალება 112 პროცენტით იქნა განაღდებული, ნაცვლად 174 ათასი მანეთისა რაიონის წარმოებადწესებულებებს გაეწია 194 ათასი მანეთის მომსახურება.

წარმოებაში არსებული მომსახურების ოთხი დარგიდან—მანქანა-ტრაქტორთა რემონტი, მეცხოველეობის ფერმების შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ელეტროფიკაცია, მოსახლეობის ფასიანი მომსახურება, სატრაქტორო მექანიზებული სამუშაოები—გეგმა ყველამ გადაჭარბებით შეასრულა.

დიდი გადაჭარბებით შეასრულეთ შრომის ნაყოფიერების ფონდუკუგების და დაგროვების გეგმები. მოგებამ გასულ წელს გეგმით გათვალისწინებული 13 ათასი მანეთის ნაცვლად 28 ათასი მანეთი შეადგინა, რაც მთლიანად მატერიალური სტიმულირების ფონდში იქნა ჩარიცხული, ამან მუშის რეალური ხელფასი 1,6-ჯერ გაზარდა. თითქმის ყველა კვარტალში გავეცით პრემია, პრემიაგაიცა ასევე წლიურ შედეგებზე. ყველა მუშაზე გაცემულ იქნა საშობაო საჩუქარი თითო თვის ხელფასის ოდენობით. მუშებს ეძლევათ ასევე კლასისა და სტაჟის წანამატები, მასალებისა და საწვავის ეკონომიისათვის მიმაგრებულ მექანიზმებზე საექსპლუატაციო ვადების გადიდებისათვის წამახალისებელი პრემიები.

წარმოების თითოეულმა მუშაკმა გასულ წელს ხელფასთან ერთად პრემია 5 თვის საშუალო ხელფასის ოდენობით მიიღო.

საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად თითოეული მუშის ყურადღება საქმისადმი მეურნეობრივ მიდგომაზე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულ მხილებაზე, საჯაროობისა და დემოკრატიის გაფართოებაზეა გადატანილი.

ახლა ჩვენთან საწარმოს საფინანსო მდგომარეობა საკმაოდ მყარი და საიმედოა, აღარ გვჭირდება ბანკის სესხები. გასულ წელს ჩვენივე სახსრებით შევიძინეთ ბულდოზერი და ექსკავატორი, რაშიც 27 ათასი მანეთი გადავიხადეთ.

რაც შეეხება სამომავლო ამოცანებს, მიმდინარე 1991 წელს გასული წლის მოცულობით ვგეგმავთ წარმოებას, მანქანა-ტრაქტორების შეკეთებაზე და ტექნიკურ მომსახურებაზე 30 ათასი მანეთის სამუშაოები შესრულდება, სატრაქტორო მექანიზებული სამუშაოები—14 ათასი მანეთის, მოსახლეობას გაეწევა 10 ათასი მანეთის ფასიანი მომსახურება.

ამჟამად ძალზე გვაწუხებს ის ფაქტი, რომ სახნავი ტრაქტორების რემონტზე დაყენება ასე დაგვიანდა. უკანასკნელი 3 თვის მანძილზე ტრაქტორი შესაკეთებლად არავის მოუყვანია, სათადარიგო ნაწილების ნაკლებობა ამ საქმეს ბოლო ადგილზე აყენებს. ეს ფაქტი ეკონომიკურ ანალიზს ექვემდებარება.

დასასრული მე-2 გვერდზე.

რაკეტებიმე სვრიქუნით

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე არენსმა ლონდონში ინგლისელ ებრაელთა წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ ერაყმა ისრაელის წინააღმდეგ უკვე გაუშვა „სკად“ ტიპის 30 რაკეტა.

საუდის არაბეთზე ერაყის ბოლო სარაკეტო იერიშის დროს დაშავდა 29 ადამიანი.

ირანმა გააფრთხილა ისრაელი, რომ თუ იგი რომელიმე მუსლიმანურ სახელმწიფოს რაკეტებს დაუშენს, ირანი აღარ დაიკავებს ნეიტრალურ პოზიციას.

ამერიკული მონაცემებით, ომის დაწყების შემდეგ ერაყიდან ირანში საიდუმლო ვითარებაში 100-მდე საბჭოთა წარმოების სუ-24 ტიპის თვითმფრინავი გადაფრინდა, მათ ქიმიური ბომბების რამდენიმე ათას კილომეტრზე ტარება შეუძლიათ. ირანის ცნობით კი მათი რიცხვი 16-ს არ აღემატება. ზოგი ფიქრობს, რომ ეს აქცია ჩვეულებრივი დეზერტირობაა. სხვათა აზრით კი უცნაური მომენტი ერაყ-ირანის სპეციალური გარიგების შედეგი უნდა იყოს.

იორდანიის ტახტის მემკვიდრემ ჰასანმა განაცხადა, რომ შექმნილ სიტუაციაში „მესოპოტამიის ვეფხვი“—სადამ ჰუსეინი არავითარ შემთხვევაში არ დანებდება. მისი აზრით, ჰუსეინს არ მისცეს საშუალება, რომ ღირსეულად აერიდებინა თავიდან ომი.

გუშინწინ ინდოეთის ოკეანეში კატასტროფა განიცადა ამერიკულმა გიგანტურმა „ბ—52“ სტრატეგიულმა ბომბდამშენმა. მას 27 ტონა ბომბის ტარება შეუძლია. იგი საბრძოლო ოპერაციიდან თავის ბაზაზე დიეგო გარსიაზე ბრუნდებოდა, რომელიც ერაყიდან 3 ათას კილომეტრზეა. ეკიპაჟის ექვსი წევრიდან ჯერჯეროობით 3 გადარჩენილია. ტენტაგენის ცნობით, არავინ იცის, ეს ჩვეულებრივი კატასტროფა თუ ერაყის სამხედრო აქცია. „ბ 52“ სტრატეგიული ბომბდამშენი, რომელმაც ვიეტნამის ომში გამოიჩინა თავი, ერაყს ბომბავს საუდის არაბეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან და დიეგო გარსიადან.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო დე უმ დაადანაშაულა ჩრდილოეთ კორეა, რომ იგი ამზადებს და ერაყს აწვდის რაკეტა „სკადს“. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ გამზადებული არიან სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები, რადგან შესაძლოა ჩრდილოეთმა ისარგებლოს სპარსეთის ყურის კრიზისით და სამხრეთს მოულოდნელად დაესხას თავს.

სტოკჰოლმში გამოცხადდა, რომ სკანდინავიის ქვეყნების მეთვალყურენი ლიტვაში ჩამოვლენ და დაესწრებიან 9 თებერვლისთვის დანიშნულ მოქალაქეთა გამოკითხვას საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის თაობაზე.

ერაყთან სამხედრო მოქმედების გარდა მრავალეროვნული ძალები დიდ რადიო ომსაც აწარმოებენ. რეგიონში მუშაობს რადიოსადგური „სპარსეთის ყურის ხმა“, რომელიც ერაყელებს დანებებისკენ მოუწოდებს. მას ექიშპება ერაყის რადიოსადგური „ყველა ბრძოლის დედის ხმა“, რომელიც ქუვეითიდან აწარმოებს გადაცემებს.

არსებობა შეწყვიტა იტალიის კომპარტიამ — ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე ძველმა კომუნისტურმა პარტიამ. ეს გამოცხადდა პარტიის XX ყრილობაზე.

სიტყვა — საქმიანი

ნათურა, რომელიც ამუქებს ჩვენს ეკონომიკას

უკვე შევეჩვიეთ დაძაბულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ვითარებას. რის დეფიციტი აღარ გვაქვს და ამჟს ელექტროენერგიის მწვავე პრობლემაც დაემატა, რამაც, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ცხოვრებაზე, ფსიქოლოგიაზე.

რაიონის პირობებშიც დაშვებულია გეგმური გამორთვები და ასეთი გაგრძელდება კარგა ხანს. ზოგჯერ ღამითაც თიშავენ ელექტროენერგიას. მაგრამ თითოეულმა კარგად ვიცით, რა მდგომარეობაა რესპუბლიკის ქალაქებში: არ მუშაობენ საწარმოები, ადამიანებს არა აქვთ გათბობა, წყალი, პურიც კი ვერ ცხვება სამყოფი ოდენობით უსინათლობით.

ჩვენ ხშირად დაგვიწერია ელექტროენერგიის ეკონომიკური ხარჯვის აუცილებლობაზე, განხორციელებულა რეიდებიც. მაგრამ დღეს სხვაა, როცა საქართველოში ასეთი მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე მეტი ადამიანობა, კულტურა გვმართებს. სინდისმა არ უნდა მოგვცეს უფლება თუნდაც ერთი ზედმეტი ნათურა ავანთოთ. არადა ქალაქის მცხოვრებთა მეტ წილს ღამის საათებში ანთებული აქვთ გარე განათების ნათურები.

ყველა კარგად ვხედავთ სად როგორ იყენებენ ელექტროენერგიას. მათ წარმოდგენას ახლა არ ვაპირებთ. უბრალოდ სირცხვილია, რომ ელექტროგამახურებელი დანადგარებით ვამბობთ ოთახებს, სამუშაო ადგილებს, ქუჩებში გვიან დილით ქრება სინათლეები, ზოგჯერ მთელი დღე გაჩახჩახებულია ნათურები შენობებში, ქუჩებში.

დიახ, ამ ჩვენს პატარა რეპუბლიკას მორალური მხარე აქვს, შეგვრცხვეს, გავუფრთხილდეთ უნდა ერთმანეთს, ალბათ ბევრი იკითხავს: რა ვქნათ, როცა სხვა საშუალება არ არის, გამთბობი ელექტროხელსაწყოები უნდა გამოვიყენოთო, ეს აუცილებლობის შემთხვევაში, მაგრამ ჩავიხედოთ გულში: რამდენ ელექტროენერგიას ვხარჯავთ უმიზნოდ, ჩვენი დაუდეგრობით, უგულობით.

კაცისა და ბუნების წყალობით ამ დიდთოვლობაზე ელექტროენერგია გვაქვს. გავუფრთხილდეთ, ვიცოდეთ მისი ფასი და ყადრი!

ისტორია, რეალობა

●

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ხალხი შეშფოთებულია ოსეთში შექმნილი ვითარების გამო. მკითხველისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მტრების ჩაგონებით ოსთა ერთმა ნაწილმა მეზობელი ქართველი

ᲝᲡᲔᲑᲘ

ერის წინააღმდეგ ხელში ხმალი აიღო და მოისურვა შიდა ქართლის ტერიტორია, ისტორიული სამაჩაბლო, ჩრდილოეთ ოსეთთან გაეერთიანებინა. ოსი სეპარატისტები შეშფოთებულნი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობით ცენტრს ელაქუცებიან და შეეცადნენ მათი დახმარებითა და მხარდაჭერით მიეტაცებინათ ქართული მიწაწყალი. ისინი ისე გათავხედდნენ, რომ არ იკმარეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და შექმნეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა“ და ითხოვდნენ დამოუკიდებლობას. მათ საკადრისი პასუხი გასცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ და გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სწორი და მისასალმებელია ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რომელსაც ქართველების მხარდამხარ სიხარულით შეხვდა ჯანსაღად მოაზროვნე ოსი მოსახლეობაც.

ოსი ეროვნების ერთი ნაწილი სამხრეთ ოსეთის არაფორმალური გაერთიანება „ადამონ ნიხასი“, საქართველოს უყენებს გაუმართლებელ მოთხოვნებს და ბრალდებებს, რითაც შეურაცხყოფს ქართველ ერს, აყალბებს ისტორიულ რეალობას. საქართველოს მტრობით გულდამძიმებული ოსი სეპარატისტები, ექსტრემისტები აბნევენ ოს მოსახლეობას. ქართველები ქართლის ტერიტორიაზე მოხეტიალე ოსთა დასახლების დღიდან პატივს სცემდნენ ოს ხალხს, მაგრამ მათი ისტორია მოწამლულია ყალბი ფაქტებით, ამიტომ საჭიროა ვიცნობდეთ ოსი და ქართველი ხალხის ურთიერთობას.

მე—18 საუკუნის პირველ მესამედში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში, ეს მოვლენა საკმაოდ დიდხანოვანი ისტორიული პროცესის შედეგი იყო.

ამიერკავკასიის ველებსა და მთებში მცხოვრებ ოსებს საქართველოსთან იმთავითვე სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ. უკვე მე—13 საუკუნეში, ორი მონღოლური სახელმწიფოს— „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, შიდა ქართლის მიდამოებში საკმაოდ დიდხანს და საგრძნობი რაოდენობით იყვნენ დარუბანდის გზით შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც მაშინ ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ.

მე—14 საუკუნის დამდეგს საქართველო მონღოლი დამპყრობლებისაგან გაიწმინდა. ყამთა აღმწერელის ცნობით ქართლიდან ოსებიც „განასხნეს“ ამის შემდეგ ქართულ წყაროებში ოსთა კომპაქტური მასები დიდხანს არ იხსენიებიან.

ქართლის მთიანეთში, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ რაიონებში ოსური კომპაქტური მოსახლეობა წარმოიშვა არა ერთდროული ჩამოსახლების შედეგად, არამედ თანდათანობით, მე-16, მე-18 საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც საქართველოსა და ცენტრალური კავკასიონის მთის რაიონებში თავისებური სოციალური პოლიტიკური სიტუაციაა, მიგრაციული მოვლენებისათვის ხელისშემწყობი ვითარება შეიქმნა.

ოსთა გადმოსახლებას ქართლში, რა თქმა უნდა, თავისი არსებითი მიზეზები ჰქონდა. დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები, გადარჩენილთა ერთი დიდი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში შეიხიზნა, იქ მათი არსებობის პირობები მეტად არახელსაყრელი იყო.

სარჩო-საბადებლის მძებნელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას. ამას ერთი მხრივ ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველი მოსახლეობა საგარეო მტრების შემოსევის შედეგად ძალზე შემცირებული იყო.

როგორც ქართული ისტორიის წყაროები მოწმობენ, მეთხუთმეტე საუკუნის დამლევს, ოსებს მეურნეობა ძლიერ სუსტად ესმოდათ. თვით პურის თესვაც კი არ სცოდნიათ, მარტო ქერს თესავდნენ. მთელი ოსეთი ქერით იკვებებოდა. ქერისაგან ხდიდნენ ლუდს, არაყს და მით ირჩენდნენ თავს.

მომხდარა ასეთი უბედურება, რომ ოსეთის ერთ ნაწილში და უფრო კი ქართლის მოსაზღვრე ოსებში 1580 წლიდან ქერის მოსავალმა ძლიერ იკლო, შემდეგ წლებში ქერი თითქმის სულ აღარ მოდიოდა. ამ უბედურების მიზეზი თურმე ის იყო, რომ 1580 წელს ქერის ყანები დიდმა წვიმებმა და ნიაღვრებმა სულ წაიღო. მეორე წელიწადს ქერის ყანები მოსპო დიდმა ქარებმა, მესამე წელს გვალვისაგან ყანები სულ გადამწვარა. ჩამოვარდა დიდი შიმშილი. ისინი იკვებებოდნენ ბალახით. ბალახის ჭამამ დიდად ავნო ხალხს და ბევრი გაწყდა, გვიამბობს მატიანე. დამშეულმა ოსებმა იწყეს აქეთ-იქით გადახვეწა და დღიური ლუკმის ძებნა მათხოვრობით, ისინი დაიყვნენ და გადასახლდნენ შირეხში, ჩერქეზეთში და ქართლში.

ქართლში გადმოხვეწილი ოსები, ამ პურისა და ქერის ქვეყანაში, შეულობდნენ იმდენ ქერს, პურს, სიმინდს, ლობიოს და სხვას, რაც თვითონაც ჰყოფნიდათ საზრდოდ და თანაც ბევრი მიჰქონდათ. რადგან ქართლში უფრო ხელსაყრელი პირობები ნახეს, სხვაგან აღარ მიდიოდნენ და მალე ქართლის სოფლები გაივსო მათხოვარი ოსებით.

ქსნისა და არაგვის ერისთავებმა მათხოვარ ოსებს ჰკითხეს მიზეზი, თუ რამ გამოიწვია მათი გამათხოვრება, ოსებმა აუწყეს თავიანთი ქვეყნის მოუსავლიანობის მიზეზი. ეს ამბავი თურმე ერისთავებმა და მაჩაბლებმა სიმონ მეფეს მოახსენეს, მეფემ ერისთავებსა და მაჩაბლებს ნება დართო თუ ისინი ისურვებდნენ და ქართლში გადმოსახლდებიან, მაშინ მიიღეთ ისინი ხაზნებად და თქვენ მამულზე დაასახლეთო. ოსებს დიდად გაეხარდა მეფის დასტური და ამის შემდეგ მათ მართლაც იწყეს ქართლში გადმოსახლება. ამ დროს ოსები დასახლებულ იქნენ ქსნის, არაგვის ერისთავების, მაჩაბლის, ფავლენიშვილის, ფურცელაძეების და სხვა თავადაზნაურების მიწებზე, სადაც დღესაც მოსახლეობენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, რომ გადმოსახლების დროს ოსებს სულ არაფერი მოჰქონდათ, ცარიელ-ტარიელები მიდიოდნენ.

თავადაზნაურებმა გადმოსულ ოსებს მიუჩინეს სახლის დასადგამი ადგილი, სახლის ასაშენებელი ხე-ტყე და სხვა მასალაც. ქართლის თავადაზნაურებმა მათ მისცეს საზრდო, პურისა და ქერის თესლი. სასოფლო სამეურნეო იარაღები.

ასეთი დახმარებით ქართველებმა ოსებე ფეხზე დააყენეს ასე და ამგვარად ქართლის სოფლებში მოშენდა და შეიქმნა ოსგლეხთა მოსახლეობა. ოსებმა მალე დაიმსახურეს ქართველთა სიყვარული და თანაგრძნობაც, ამიტომ ქართლელ ოსებს ეხმარებოდნენ ყანაში მუშაობის დროსაც. მალე ისე მოეწყო საქმე, რომ ოსებმა ქართლის გლეხებისაგან ისწავლეს პურის მოყვანა, მებაღეობა, ვაზის გამრავლება და ღვინის დაწურვაც.

ქართველი და ოსი მოსახლეობის დაახლოება ისე წარიმართა, რომ მათში მალე ნათესაობაც დაიწყო, ერთმანეთში ქალების მითხოვება, გახშირდა ნათელ მირონობა, მეჯვარეობა. რაც ამ ორ ერს აკავშირებდა ერთმანეთთან.

ოსები ქართლში გადმოსახლების შემდეგ ქართველებთან ერთად იბრძოდნენ შემოსეული მტრების წინააღმდეგ.

დღეს გასაკვირია, ოსთა ერთი ნაწილის ბოროტი პირების მიერ შეგულიანების შედეგად გაბრიყვება და თავიანთი მეზობელი ქართველი ერის წინააღმდეგ იარაღის აღმართვა, რასაც თვალი ხალხი მიიჩნევს დიდ ცოდვად და ოსების ღირსების დაკნინებად.

ქართველი ხალხის მიერ მოწყობილი ყველა აქცია მიმართულია იქითკენ, რომ შეწყდეს წინააღმდეგობანი და სისხლისმღვრელი მოქმედებანი ოსებსა და ქართველებს შორის, რომ ოსებმა დაგმონ ის შეცდომები, რაც ცენტრისა და სეპარატისტთა გავლენით ჩაიდინეს ქართველთა წინააღმდეგ, რომ აღდგეს ოს და ქართველთა მეგობრობა.

გვწყმს ოსები გონს მოვლენ, დაგმობენ ოსი და ქართველი ხალხის მტრების შეგონებას, არ აყვებიან სეპარატისტებს და კვლავ გააგრძელებენ მეგობრობას ქართველებთან, მხარში ამოუდგებიან ქართველებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ᲕᲚ. ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲐᲤᲘᲚᲝᲑᲐ

◆

ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲐᲠᲓᲜᲐᲚᲐᲨᲘ მრავალშვილიან ოჯახებს შორის თამარ სარდიონის ასული ხაბულიანი-მურცხვალაძის ოჯახიცაა.

თამარს ადრიდანვე მოაკლდა მშობლების სითბო და სიყვარული. ობოლ გოგონას დედმამიშვილების ალერსიც არ განუცდია. დედისერთა ბიძამ შეიფარა და გაზარდა.

ოჯახი მამის ფუძეზე შექმნა. დედ-მამისა და და ძმის ნატვრის სურვილს შვილები შემოესებენო და საჭირო პირობების მიუხედავად მრავალი შვილის დედობა გადაწყვიტა. ახლაც იხსენებს პოეტის სიტყვებს „ყველა ერთი შვილის დედას, საქართველოს ვალი აქვსო“.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ აზრს. ქალი სრულყოფილი ქმნილება მხოლოდ მაშინ არის, როცა დედაა, როცა მამულს, ოჯახს შვილებს უზრდის.

და დაირწა ხუთი აკვანი მურცხვალაძეების ოჯახში. სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი გაიზარდა. უფროსი ვაჟი მურმანი სოფლის ელექტროტექნიკოსია. ახლახან შექმნა ოჯახი. ქეთინო ოყურეშის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა და ორ შვილს უზრდის ქვეყანას. ლადო ბარდნალის საშუალო სკოლის ცეცხლფარეშია. ბოლოს ტყუპები დაიბადნენ. მამუკა ცოლ-შვილით კრასნოდარში ცხოვრობს, წელიწადს ისე როგორც გაუშვებს, რომ საჩუქრებით დატვირთული დედასთან არ ჩამოვიდეს. მაიამ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, გათხოვდა და ოზურგეთის ერთ-ერთი საშუალო სკოლის პედაგოგია.

ძმები. მურმანი და ლადო სოფელში დამკვიდრდნენ. ჯერ კოლმეურნეობაში შრომობდნენ, მერე იჯარით, ახლა კი გლეხურ მეურნეობაში არიან ჩამბული, ეზოში მეორე სახლიც ააშენეს, პირუტყვს ზრდიან და ცხოვრების უკმაყოფილონი როდი არიან.

თამარ ხაბულიანი ახლა პენსიონერია. ცალუღელად ეწევა ოჯახის დედისა და ბებიის სასიამოვნო, თანაც მძიმე ტვირთს. ჰყავს ხუთი შვილიშვილი. ენას არ მოაბრუნებს, შვილებს რომ არ შეუკიჟინოს—მამულს ბევრი შვილი სჭირდებაო.

Გ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ — ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ - ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ

(დასასრული).

დარიგო ნაწილები კი შემოზიდული გვაქვს, უახლოეს ხანში სახნისებსაც შემოვიტანთ, ახლა კი მთავარია ტრაქტორი, გუთანი თუ ფარცხი დროულად მოიტანონ შესაკეთელად.

მიმდინარე წელს გასულ წელზე მეტი ოდენობის სატრაქტორო მექანიზებული სამუშაოების შესრულება გვაქვს დაგეგმილი. რისთვისაც საწარმოს ბალანსზე არსებული 3 მძიმე „ტ—130“ მარკის ბულდოზერი და 5 ექსკავატორი გამართული, მუშა მდგომარეობაში გვყავს და ძირითადად საგზაო სამმართველოს ვემსახურებით. მზადა ვართ საჭიროების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებსაც შეუფერხებლად მოვემსახუროთ.

საწარმოს კარგ შემოსავალს აძლევს მსუბუქი ავტომანქანების შეკეთებისა და მავთულბადის საქსოვი საამქროები. გასულ წელს 7500 კვადრატული მეტრი მავთულბადე მოვქსოვეთ და მივყიდეთ მოსახლეობას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან მოქსოვილი მავთულბადე იყიდება სახელმწიფო საპრეისკურანტო ფასთან შედარებით 20 პროცენტის ფასდაკლებით.

მოთხოვნილება დიდია და მიმდინარე წელს ვფიქრობთ ზემოაღნიშნული საამქროების კიდევ უფრო გაფართოებას.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, გასაკეთებელი ბევრი გვაქვს, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრ დროს ვანდომებთ თათბირებსა და თეორიულ მსჯელობებს, ეს მაშინ, როცა პრაქტიკული საქმეების გადასაწყვეტად დრო ნაკლებად გვყოფნის, ჯერ კიდევ ბევრი გვმართებს შეკეთებული ტექნიკის ხარისხისა და საიმედოობის, უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით.

Მ. ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔ,

მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს მთავარი ეკონომისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი სარწყული

„წერომ ბაყაყებს მიხედოს,
ლექსი გულგულმა წეროსა“.
ნ. დუმბაძე.

ფრთხილ ვაებას დამსგავსებია დასახიჩრებული
ბწკარები ლექსთა,
უპატრონოდ დასეირნობენ, სამარესავით დაუფჩენიათ
პირები ბედშავთ,
ინფანტობენ სუდარაში შეხვეულები, მინაწერ-მონაწერ
წეროთა მათთა.
ცოდვით იწვებიან წამკითხველნი, ნანგრევებივით
ესრისებიან ალმართ-დალმართთა,
ქანაობს ფიქრი, მუზასაც წყდება ნაცახცახარი სიმები
და რჩება წყება დასკვნათა,
აჰყე ალმართ და დალმართ, აჰყე ალმართ და დალმართ,
არცერთი არააო წალმართ!
ჩუმ, დემონურ ღიმილს მაგებებს დატკივილებული ქალალდი
ლექსთაგან:
ელამიაო და ამოსაკემსი, დასამალი და საკწაული გალობანიც
შენთაგან,
თეთრი ღვთაების, შავი მერნის და ცისფერი სიმარტოვის
ნაჭენებ პატრონთა ახლო-მახლო ხეტიალს
უმჯობეს არს ამოხდომა ინატრო სულთაგან.
და რჩება დასკვნა:
ჯვარზე ნუ აკრავთ ნაცოდვილარს ჩემთა და სხვათა!
უკვე დარკალულს, მიმოუყვები ალმართ-დალმართთა...
ქანაობს ფიქრი, ნამცეცები ხართო ძირძველი პოეზიის
უშნოთა ვაებას დამსგავსებია ბწკარები ლექსთა მავანთა.

ლელა ლომთაძე.

გთხოვთ პონორარი გადარიცხოთ ინვალიდთა ასოციაციის ფონდში.

გაძარცვა...

საშინელი ქარი ქროდა. ბნელოდა ირგვლივ, სადღაც ხარხარებდა სატანა... ქარმა ტყე გაძარცვა, ესეც არ იკმარა, კარფანჯრებს მოაწყდა, ყურთამდე დააღო, ოთახში შემოიჭრა და... ჩემს გაძარცვას შეუდგა. ყველაფერი წაიღო ჩემგან, ყველაფერი კარგი და ძვირფასი... მე კი ვიდექი და როგორც ღია ცისქვეშ გაკრულ ფერად აფიშას, ნელ-ნელა მრეცხდა ფანჯრებიდან ქართან ერთად შემოჭრილი წვიმა... არავინ არ მომეშველა. ფანჯრის რაფებზე დასხდარი სატანები ავად ხარხარებდნენ ისევ, უხაროდათ ჩემი გაძარცვა. მეგონა, რომ გამანება ქარმა თავი, რაც კარგი იყო ჩემში, ხომ ყველაფერი ამომაცალა, თან წარიტანა!..—წასვლა დააპირა, ავად მოხარხარე ბოროტი სულები კართან დახვდნენ, რაღაც უჩურჩულეს და ჩემსკენ მოაბრუნეს ისევ... სახეგაბრწყინებულმა ქარმა სიცოცხლე მთხოვა! ავი სულები კი გაორკეცებით ახარხარდნენ.

სიცოცხლეწართმეული სიცოცხლეზე ვფიქრობდი ისევ. ვფიქრობდი: უაზრობაა სიცოცხლე, ყველანი იმიტომ ვცოცხლობთ, ჩვენივე ხელებით მოვასუფთაოთ ჩვენი საბოლოო განსასვენებელი და მერე.., მერე კი საკუთარი სიცოცხლის ზამთრის დადგომისას ბალახებივით გავუჩინარდეთ

მაინც დავიწყე წართმეულის ძებნა. ქუჩაში ვეძებდი მას. როგორ გგონიათ, ვერ ვიპოვიდი?! ქარი ქროდა, ბალახებს ფერი დაკარგოდათ შიშით, მტირალა ტირიფები შესაბრალისად აფართხალებდნენ უსუსურ ტოტებს. ქარისგან თავმობეზრებული ბებერი მუხა სიკვდილს ნატრობდა. ხმელი შიმელები დაკარგულ სინედლეს დასტიროდნენ ისევ ცხარე ცრემლებით. ბე შიმელებთან დავიხარე, ნიათწართმეულმა გამხმარ ძირებს მივუალერსე და ჰოი, საოცრებავ!.. სიცოცხლე ვიპოვე ხმელ შიმელებთან—იქ, სადაც არ ველოდი. სიცოცხლე დავიბრუნე, ჩემი სიცოცხლე... სატანებმა ისევ შეაგულიანეს ქარი. და ისევ დაუპირა ქარმა წაერთმია ჩემთვის სიცოცხლე. უძლური გამოდგა ამჟამად ჩემს წინაშე... კვლავ შიმელებთან ჩავიმუხლე, ვეამბორე და.. უცებ უცნაური სურვილი ვიგრძენი. ძალიან, ძალიან მომინდა ჭიქა ამეღო ხელი, შიგ დაუნდობელი სიკვდილის მსუსხავი ხელით დახოცილი ადამიანების სისხლხორცით გაჟღენთილ მიწაზე გახარებული ვაზისაგან დაწურული, ამოდსასმელი, ვნების ამშლელი ღვინო ჩამესხა, ქართული ღვინო და სიცოცხლე მედღეგრძელებინა: სიცოცხლეს გაუმარჯოს, ხალხო—უაზროს, მოპარულს, წართმეულს, ნაპოვნს, მაგრამ მაინც სიცოცხლეს...

ხმელი შიმელები ჩვენს თვალწინ განედლდნენ... ძირიც სიცოცხლის სადღეგრძელოს სვამდნენ.

აღდგომა ზეიმობდა ჩემი სულის მიტოვებულ სასაფლაოზე...

ზორენა ხეცურიანი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი.



მე მეშინია გარეთ გახედვის
და მაინც ფრთხილად
გადავწევ ფარდას.
მოძრაობს ქუჩა,
ნიღბოსნები პროსპექტს თელავენ
და მხრებით მიაქვთ
საკუთარი ბედნიერება.
მე ვხედავ სიცილს
და მეშინია
არ გაიბნეს ქარში სიცილი...
ვიღაცამ ფოთოლს ფეხი დაადგა
და ჩაიარა უდარდელი კაცის ნაბიჯით.
ანდა რა აქვს საწუხარი და
სადარდელი
მხრებით მიაქვს საკუთარი ბედნიერება.
(ბედნიერება—ეს სიტყვა ჩვენ გამოვიგონეთ,
რათა მღელვარე
სული დაგვეცხრო).
სარკმელს ეცილდები.
მე მეშინია გარეთ გახედვის.
ცივი თითებით ვეხები ლარნაკს
და ვეფერები ცისფერთვალა,
დარდიან იებს,
მტირალა იებს,
ლურჯთვალა იებს.
თოვლი შემორჩა ძველ კრამიტებზე
და მაინც ვამბობთ,
რომ ზამთარი გარდაიცვალა.
არ დაუკრძალავთ თეთრი ზამთარი,
კუბოს ირგვლივ არ დამჯდარან
შაოსანი შავი ქალები.
პატარა ბავშვებს არ წაუღიათ მიხაკები და
ქრიზანთემები.
ცოტა მოზრდილებს
კალათები არ ჩაუბღუჯავთ,
არ დაუმარხავთ მესაფლავეებს
თეთრი ზამთარი
და მაინც ვამბობთ, რომ ზამთარი
გარდაიცვალა!!!
მე მეშინია გარეთ გახედვის
რომ არ წავაწყდე ზამთრის სუდარას
და ბავშვივით არ ავღრიალდე.
მე დამეკარგა
ჩემი წილი ბედნიერება
და მეშინია გარეთ გახედვის...

ბედნიერი გარდაცვალების ფინალი

აუცრემლდება ღმერთსაც თვალები,
დაითალხება
სიცარიელით
ამოვსებული
ვეება სახლი.
მოცისფრო სულს კი ანგელოზები
წაუძღვებიან ლაჟვარდ ზეცაში...
... და დაიწვება ყვითელი ნეშო...

ნანა აკოგიძე.

---

* * * (მუზას) * * *

თვალებში ცეცხლით მარადიულით
მე მოვიპოვებ სიმშვიდეს სულის..
თუმცა მაშინებს ცისკენ გაფრენა
ბახის ფუგებით მტკივნეულ გულის...
და ბეწვის ხიდზე ცეცხლთან თამაშში
ბოლომდე ვიწვი.. ნაცრად გენახო!
ოღონდ მაღირსე შენი ჩანგის სიმს
მუხლზე დამდგარი—კრძალვით შევეხო.
თუნდ მეამბორა შუბლზე სიკვდილი,
მაინც ვერ დავთმო შენი აკვანი,
მე ქურუმი ვარ, ვსულდგმულობ შენით,
ფიქრის უსწრაფეს მიჰქრიან დღენი,
შენ ღმერთი ხარ და ჩემი თაყვანი!
ამიტომ გიხმე მუზავ დობილად.
ო, მაპატიე, თუ ვერ შევძელ და
გიმღერე რაღაც წილადობილა...
ცაში ფრენაზე ხელჩაქნეული,
გულდაწყვეტილი და გულნაკლული
შენ გევედრები, არ მიმატოვო
და არ გამწირო ჯვარზე გაკრული.

შენი სიმღერა ჩემს ძარღვებზე უფრო მკვრივია,
შენი ცრემლები დროის სიყალბეს. ვეღარ იტანენ,
და ნისლებში მიემართები,
ამ დროში ვარსკვლავები ვერ მოისხამენ,
ამ დროში ძველისძველი საათი რეკავს
ისევ როგორც გათოშილი ტოტების
უცნაური შემონათება.
გაზაფხულის ნათელი და გრძელი დღეები,
შარშანდელი თოვლის გარდაცვალება
ყვითელ ქუჩებში,
სადაც ნეშომპალას ეფეტეა ქარი,
სადაც გამვლელებს უცნაურად აგიყვებთ რაღაც..

მთვარისა ბენდელიანი.

დღეს ჩვენი ჯერია

უნდა გიზგიზებდეს ყველა ქართველის
ოჯახში კერია,
ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, ჩვენ უნდა
გავიმარჯვოთ, დღეს ჩვენი ჯერია,
„არა კაცს კლაო“ ქრისტეს მოძღვრებაში
კი ასე სწერია,
გული გაიკეთე, ჩემო საქართველოვ,
მოგიკვდეს მტერია.

ჩვენი გაცოცხლების, ერის გაღვიძების
მეორე წელია,
ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, ჩვენ უნდა
გავიმარჯვოთ,
დღეს ჩვენი ჯერია.

სოფო გურჯალიანი.

სოფ. ორბელი.

---

* *

გაზაფხული

* *

მზემ სხივების ჩამოშალა
ფარდა,
იმ ფარდაში თოვლი აღარ
ჩანდა.
დაირბინა ძველი ჩვეულებით,
ჩაიხვია ხნულის ხვეულები.
ალმაცერად გადაევლო ბინულს,
ტყეს სიმწვანის გადააცვა
ფარჩა,
ვაზებს ცრემლით დაუნამა სახე,
ტყემლებს რძიფერ ყვავილებად
ჩარჩა.

ნაირა ლეშკაშელი.

ბილოცავთ

თაილი, ვალერი მუშაკუდიანებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. დალოცვილი იყოს მისი ცხოვრების გზა. ფარავდეს ღმერთი.

ბელა, მურად გუგავები, ნინო, გიორგი კერვალიშვილები. ნამცეცა, ბახვა საღინაძეები, ხათუნა სილაგაძე.

თეა მირიანის ასულ ახვლედიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე ერის სასახელო ქალი. ლაღსა და ბედნიერ ცხოვრებას გისურვებთ, ღმერთი იყოს შენი და შენი თანატოლების მფარველი.

ნანული, ლილი, თინიკო, ბელა, დადაში, ვალოდია გოლეთიანები, თინიკო ახვლედიანი.

თაიდი, ვალერი, თინა, მიხეილ მუშაკუდიანებს ნათელა, ზაურ საღინაძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ნინელი, ნოდარ მუშკუდიანები, გია თუთიანი.

გულო, ზოთა კოპალიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ცაგერის რაი-ცენტრის აფთიაქის თანამშრომლები.

ნინო ლაკვეხელიანს იური კოპალიანს

გილოცავთ ვაჟის შეძენას. კვლავ მრავალ შვილს აეხმიანებინოს თქვენი სახლის ჭერი.

მედიკო და თემურ კვირკაშვილები.

დათო სანთელაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ღირსეული ქართველი ქალი. კვლავ მრავალ სიხარულს შეევსოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

თაილი საღინაძეს ვალერი მუშაკუდიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ლელა, რეზო, ნათია, ჯაბა ტვილდიანები.

სულიკო, დავით ფოჩხიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, ძეობა, გამრავლება, სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

მიშა, ლენა, ნინო, გიორგი, ედიშერ, დალი, მამუკა, ნათია ფოჩხიძეები, ჯონი, თინიკო ბურჯალიანები.

თაილი, ვალერი, თინა, მიხეილ მუშაკუდიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი შვილების მფარველი.

თენგიზ სილაგაძე ოჯახით.

ლარისა ახვლედიანს დათო სანთელაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას აღზრდილიყოს ღირსეული ქართველი ქალი. სიმართლე, ერთგულება და სიყვარული ყოფილიყოს მისი ცხოვრების თანამგზავრი.

ავთანდილ ჭაბუკიანი ოჯახით.

დოდო, ზოთა გერიძეებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. ვუსურვებთ მტკიცე ქართული ოჯახის შექმნას. აკვანთა სიმრავლე და სიხარული დაბედებოდეს.

ნათელა, ზანი, გივი, ეორა ლეთოდიანები. მაგული, ჯიბილო, ლევან მეშველიანები.

მაკა, ილო გორეზიანებს თამარ ასათიანს

გილოცავთ ქალიშვილის და შვილიშვილის შეძენას. გამოავლოთ ღმერთმა.

ნანული, როზეტა, თამარ ქვარიანები ოჯახებით.

დათო მურმანის ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს.

მარინე, ვახტანგ ბენიძეები.

თამრიკო ამყოლაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარით მრავალს გისურვებთ ბედნიერ, ნათელ მომავალს, წინსვლასა და გაძარჯვებას პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ცაცა, მაია, ნანი, მალხაზ ბენიძეები.

ბილოცავთ

ივეტა ხუბუკელაშვილს თამაზ ნემსწვერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი. სიკეთე, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მირზა, მარინა, მაყვალა, იზა ახვლედიანები.

ნანა ზაურის ასულ ჩიტალაძეს ბაჩუკი თემურის ძე ასათიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დე ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ნანული, როზეტა ქვარიანები ოჯახებით.

ღეჩხუმის ჯოკონიმიკა

ფინათ თურმე, როცა მანქანებმა არ ეყოლა ორბელიდან რაჭაში ფეხით გადადიოდა მოკლე გზით. უნდა გადაევლოთ ერთი მთა, მაგრამ ხშირად ეს მთა მშვიდობით არავის გადაუვლია, ხალხს რაღაც ანადგურებდა. ბოლოს გაიგეს, რომ თურმე მთაში უზარმაზარი გველი ყოფილა დაბუდებული, ხალხს ანადგურებდა. ხალხი დაშინდა და მთას აღარავინ ეკარებოდა. იმ მთას შიშით ,გახედავდნენ თურმე. მაგ გველის მთა უწოდეს.

მთქმელი გ. ლეშკაშელი.

მეუღლე თამარი, შვილები გია, ციცინო, დები ქენია, დარეჯანი, სიძეები პავლე ჯავარაშვილი, მიშა გურგუჩიანი, შვილიშვილები ჯუმბერი, ჯუანშერი, ბიძაშვილები, დისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბიჭიკო ვასილის ძე ლეშკაშელი.

დაკრძალვა 9 თებერვალს, შაბათს, სოფ. ორბელში.

თამაზ საღინაძე, იაგო ბურჯალიანი, დოდიკო ენჯია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა და დალოსტი სვანიძეებს მაზლისა და ძმის

ეორეი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები და უახლოესი მეზობლები ეორა, შალვა, მევლუდ, შტამლერი, მინა, ნესტანი, გივი, ძაბუ, ზურაბ, კარლო, გურგენ, ცუცა, მერი, კუჭიკო, ვერონტი, ნოდარ, ჯემალ სვანიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორესი ბიკენტის ძე სვანიძე.

დათო კვენტაძე, გია ირემაძე, გოგიტა ყურაშვილი, კახა ჯიაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელგუჯა სვანიძეს ძმის

ეორესი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

სტომატოლოგიური კაბინეტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუიზა სვანიძეს ძმის

ეორესი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ნანული და ეორა შეკიშვილებს მამამთილისა და მამის

გრიშა ანდრიას ძე შეკიშვილის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ თენგიზ ლეშკაშელს სიმამრის

გრიშა შეკიშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფელ თაბორის ახალგაზდობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ ზურაბის ძე ქარსელაძე.

ალექსანდრე, რამინ, ბუდუ, გიზო, აქსენტი, ავთანდილ ქარსელაძეები, ამბროსი, სონა ბაკურაძეები, მარიამ გოქაძე, გურამ ჯინჭარაძე, დავით ჩაჩხიანი, ჯიმშერ ხუბუკელაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ ზურაბის ძე ქარსელაძე.

ცაგერის რაიკოოპერატივის, საზკვების, პურკომბინატისა და ალპანის გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალოსტი სვანიძეს ძმის

ეორესი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზიკო აბაშიძეს მამიდაშვილის

კუჭიკო ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დარეჯან, რამაზ მეგრელებს ბიძის

კუჭიკო ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

გივი, ვალენტი, ეთერ სადილიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანთიმოზ ზურაბის ძე ქარსელაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამსონ ყურაშვილი, ამირან ჩახულიანი, ჭიჭიკო კოპალიანი, კაკო, ნანი ჩარკვიანები, გია ჩიქოვანი, სოზარ ცვარიანი, გია ლეთოდიანი, პავლე კოპალიანი თანაუგრძნობენ მერი, გურანი ბერიძეებს დისშვილის

ავთო ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

დემურ გოგიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მატო ივანეს ასული მუშკუდიანი-ჭაბუკიანი.

რაისაავადმყოფო პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა და იუზა უგრეხელიძეებს

ავთო ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფო პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარგო, ლუიზა სვანიძეებს ძმის

ეორესი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

დავით, ბუჭუ, როინ ლიპარტელიანები, გენადი სილაგაძე, რეზო ჯაჯაია ოჯახებით თანაუგრძნობენ ნარგიზა, მიშა უგრეხელიძეებს დისშვილისა და ცოლისდიშვილის

ავთო ზურაბის ძე ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

შვილები გრიშა, ეუჟეუნა, რძალი სულიკო, სიძეები კოტე, თამაზი, შვილიშვილები ციცინო, მანანა, რომტომი, მზია, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აგრაფინე თომას ასული ფრუიძე-ხვადაგიანი.

დაკრძალვა 13 თებერვალს, სამშაბათს სოფ. ზოგიშში.

ამბროსი ჩიქოვანი, დათო მანაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორესი ბიკენტის ძე სვანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ორბელის კულტურის სახლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვიოლეტა შეკიშვილს მამის

გრიშა შეკიშვილის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი ბაკურაძეს დისშვილის

ავთო ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მერაბ ახვლედიანს დედის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

მარგალიტა მინდაძე, ეორა კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თინა თაგვაძეს მეუღლის

ეორესი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ციალა, ლალი, თინათინ კვენტაძეები, ნატო, დარეჯან, ნორიკო, მახარობლიძეები, მზია ბურჯალიანი, გიული გვიშიანი თანაუგრძნობენ ნელი ბაკურაძეს დისშვილის

ავთო ზურაბის ძე ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერი სილაგაძეს დისშვილის

ავთო ზურიკოს ძე ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი ბაკურაძეს დისშვილს

ავთო ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.